გურამ აბესაძე[1], ნოდარ აბესაძე[2]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/sou.2023.19.43

თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობა და პოლიტიკური ერის ფორმირება

აბსტრაქტი. ნაშრომში შესწავლილია თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობა და პოლიტიკური ერის ფორმირების პრობლემა. კვლევის დროს ძირითადად გამოყენებულია შედარებითი კვლევის მეთოდი, სისტემური და სტრუქტურულ-ფუნქციონალური და პოლიტიკური სიტუაციის სივრცითი და დროითი ანალიზი.

თანამედროვე მსოფლიო წესრიგის აქტუალურ პრობლემად ეროვნული იდენტობის ფორმირება გადაიქცა. თანამედროვე ქართული იდენტობა ახალი დროის შესაბამისად ტრანსფორმაციას განიცდის. ეროვნული იდენტობის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალ პერიოდში; იგი თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობის თვითდამკვიდრების განზომილებითი კრიტერიუმია. თანამედროვე დემოკრატიაზე გადასვლის ყველაზე მნიშვნელოვანი პირობაა პოლიტიკური ერის ფორმირებაა. ქართული პოლიტიკური სივრცე ძალზე პოლარიზებულია, რაც ხელს უშლის პოლიტიკური ერის ფორმირების პროცესს. სახელმწიფოებრივი ცნობიერების ფორმირება უნდა გახდეს ერის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი. პრობლემად რჩება ეროვნული კონსოლიდაციისა და ინტეგრაციის მიღწევა. პოლიტიკური ერის ფორმირების პროცესში განსაკუთრებული როლი პოლიტიკური სივრცის აქტორებს აქვთ; მათ პოლიტიკურ კულტურასა და ინტელექტზეა დამოკიდებული კონსოლიდირებული დემოკრატიის ფორმირება საქართველოში. პოლიტიკური პოლარიზაციისა და ინსტიტუციური ვაკუუმის პირობებში

---

[1] **გურამ აბესაძე** - პოლიტოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
[2] **ნოდარ აბესაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი;

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიცია და ავტორიტეტი კგამოიკვეთა; მისი აქტორული ფუნქციები პოლიტიკურ სივრცეში კიდევ უფრო იზრდება.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული იდენტობა, პოლიტიკური ტრანზიცია, ქართული სახელმწიფოებრიობა, პოლიტიკური ერი, პოლიტიკური აქტორი, მართლმადიდებელი ეკლესია

Guram Abesadze[3], Nodar Abesadze[4]
Sokhumi State University

Modern Georgian national identity and formation of a political nation

Abstract. In the present scientific work, the modern Georgian national identity and the problem of the formation of a political nation are studied. During the research, the comparative research method, the spatial and temporal analysis of the systemic and structural-functional and political situation is mainly used.

The modern world order has made the formation of national identity a topical issue. Modern Georgian identity is undergoing a transformation according to the new time. The role of national identity is particularly important in the political transition. It is a dimensional criterion of modern Georgian statehood. The most important condition for a modern democratic transition is the formation of a political nation. Georgian political space is polarized, which hinders the formation of a political nation. State consciousness must become a characteristic feature of the nation. Achieving national consolidation and integration remains a problem. A special role in the formation of a political nation is played by the actors of the political space. The formation of a consolidated democracy depends on their political culture and intellect. In the conditions of political polarization and institutional vacuum, the Georgian Orthodox Church has a clear position; Its functions in the political space are growing even more.

Key words: national identity, political transition, Georgian statehood, political nation, political actor, Orthodox Church.

ძირითადი კვლევა. თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობა სახელმწიფოებრივი თვითდამკვიდრების საფუძველია, რომელმაც თანდათანობით უნდა მოახდინოს პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული ტრანზიცია. თანამედროვე ქართული იდენტობა გარკვეული თვალსაზრისით, კრი-

[3] **Guram Abesadze** - Doctor of Political Science, Professor of Sokhumi State University;
[4] **Nodar Abesadze** - PhD student of Technical University of Georgia;

ზისულ სიტუაციაში იმყოფება, რადგანაც მიმდინარე პოლიტიკური ტრანზიცია თავისებური ირაციონალური პროცესებით ხასიათდება, რომელიც იწვევს ერის პოლიტიკურ-კულტურული და ღირებულებითი ორიენტაციების გადაფასებას. ეროვნული იდენტობა ახალ რეინტერპრეტაციულ პროცესებს განიცდის, რომელიც გულისხმობს ერთიანი ეროვნულ-გენეტიკური ღირებულებითი სივრცის შექმნას; იგი თანამედროვე პოლიტიკური დროის შესაბამისი უნდა იყოს, რომელიც ქართულ სახელმწიფოებრიობას მდგრადი ფუნქციონირების საშუალებას მისცემს.

ქართული ისტორიულ-გენეტიკური ეროვნული იდენტობა რაციონალიზმსა და პრაგმატიზმზე იყო გათვლილი და პოლიტიკური დროისა და სივრცის შესაბამის ცვალებადობას უძლებდა; ქართული იდენტობის ინტელექტუალური კონტურები ეპოქის კრიტერიუმებს აკმაყოფილებდა და კრიზისულ სიტუაციებში სახელმწიფოებრივი აზროვნების ნიმუშებს ავლენდა. დრო და გარემოება იყო ეროვნული პრაგმატიზმისა და იდენტობის განზომილებითი სიმბოლო. *ილია ჭავჭავაძე* აღნიშნავდა: *„…როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლ-მთხეველნი მამულისათვის რამღა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით - იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი. ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით, ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა!.. იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი... ამით გავიტანეთ თავი, დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა"* (ჭავჭავაძე, 1987: 175-176).

თანამედროვე ქართული პოლიტიკური ტრანზიციის პროცესში შეიმჩნევა ეროვნული იდენტობისა და მისი ტრანსფორმაციის მიზანშეწონილობის უარყოფა, რაც ქართული პოლიტიკის ირაციონალურ ტენდენციებში გამოვლინდება; თვით ამ ცნების გაგება ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, რადგანაც მისი თემატიკა მსოფლიო მასშტაბით მეტად აქტუალური გახდა. ცვალებადმა მსოფლიო წესრიგმა, ნაციონალიზმისა და რელიგიურობის გაზრდამ, ეროვნული იდენტობის ახლებური გააზრება პრიორიტეტულ მიმართულებად გადააქცია. ქართულ სამეცნიერო სივრცეში ეროვნული იდენტობის პრობლემა აქტუალური გახდა და პოლიტიკური ტრანზიციის განზომილებად გადაიქცა. ქართულ ენაზე მოგვეპოვება რამდენიმე სამეცნიერო გა-

მოკვლევა, რომელმაც გარკვეული დახმარება გაგვიწია ამ საკითხის კონცეპ-ტუალურ და ემპირიულ გააზრებაში.[5]

ეროვნული იდენტობა ერის ძირითადი პოლიტიკური და კულტურულ-ღირებულებითი განზომილებაა და დროისა და პოლიტიკური სივრცის ცვა-ლებადობის შესაბამისად ღირებულებით ტრანსფორმაციას განიცდის; მისი შინაარსობრივი სტერეოტიპები და ტრადიციულ-გენეტიკური არსი ძირითა-დად უცვლელი რჩება. ტერმონოლოგიური გაგებით ეროვნული იდენტობა ემთხვევა ,,ეროვნულ ხასიათს", ,,ეროვნულ თვითშეგნებასა'' და კულტუ-რულ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, რაც ერს თავისი ისტორიული და გე-ნეტიკურ-ტრადიციული თვალსაზრისით გამოარჩევს; იგი ერის თვითმყო-ფადობის განმსაზღვრელია, რომელიც გარკვეულ სიტუაციებში თავის აქ-ტიურობას გამოავლენს. აქედან გამომდინარეობს ეროვნული მეობა, რომე-ლიც ერის სასიცოცხლო ინტერესების განზომილებითი პროცესების ერთობ-ლიობას წარმოადგენს და ერს თავისი ისტორიული მისიის გაზრების საშუა-ლებას აძლევს. ბრიტანელი სოციოლოგი *ენტონი დ. სმითი* „ეროვნული იდე-ნტობის“ ცნების ასეთ განმარტებას გვთავაზობს: *„ნაციონალური იდენტობა არის ნაციის დამახასიათებელი მემკვიდრეობის შემადგენელ ღირებულე-*

---

[5] ენტონი დ. სმითი. ნაციონალური იდენტობა. ლოგოს პრესი, თბ., 2008; ენტო-ნი დ. სმიტი. ნაციონალიზმი: თეორია. იდეოლოგია, ისტორია. თარგმნა მარიამ ჩხარტიშვილმა. თბ., 2004; ევროპული ღირებულებები და იდენტობა. საერთაშო-რისო ინტერდისციპლინალური კონფერენცია. მოხსენებები. თსუ, 2014; ქართუ-ლი ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია. /დ.ბოგიშვილი, ი.ოსეფა-შვილი, ე.გავაშელიშვილი, ნ.გუგუშვილი/. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. ,,ნეკერი", თბ., 2016; ს. დუნდუა, ზ. აბაშიძე. ეთნიკური და რელიგიური იდენტო-ბის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში. ,,ინ-ტელექტი", თბ., 2012; ; გ.გოგსაძე. სივრცე, პოლიტიკა, იდენტობა. სასწავლო კურ-სი. თსუ, 2018; გ. აბესაძე, ნ. აბესაძე. თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცნო-ბიერება და ეროვნული იდენტობა. ,,ფილოსოფიური ძიებანი“ /კრებული ოცდა-მესამე/. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. ,,უნივერსალი“, თბ., 2019, გვ.229-236 ნ. აბესაძე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი პოლიტიკური იდენტობის ფორმირების პროცესში. ჟ. ,,რელიგია“, 2, 2019; ნ. აბესაძე. მართლმადიდებელი ეკლესია და თანამედროვე ქართული ეროვნუ-ლი-პოლიტიკური იდენტობა. ,,ფილოსოფიური ძიებანი“ /კრებული ოცდამეოთ-ხე/. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. ,,უნივერსალი“, თბ., 2020, გვ. 237-249; გ.აბესაძე. დემოკრატიული ტრანზიტი ეროვნულ-პოლიტიკური იდენტობის ფორმირება საქართველოში. ,,ფილოსოფიური ძიებანი“ /კრებული ოცდამეოთხე/. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. ,,უნივერსა-ლი“, თბ., 2020, გვ. 98-107 და სხვ.

ბათა, სიმბოლოთა, მახსოვრობათა, მითთა, ტრადიციათა სახეების კვლავწარმოება და რეინტერპრეტაცია და ამ სახეებთან და მემკვიდრეობასთან (მისი კულტურული ელემენტებითურთ) ინდივიდების მიერ საკუთარი თავის იდენტიფიკაცია"(სმითი, 2004: 41).

ეროვნული იდენტობა ქართულ ნაციონალიზმს ემყარება, რომელსაც ფორმირების თავისი ისტორია აქვს. ქართული ნაციონალიზმი, როგორც ეროვნული აღორძინების იდეოლოგია, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა, რომელსაც სათავე ,,თერგდალეულთა'' მოღვაწეობამ დაუდო; ილია ჭავჭავაძე ამ იდეოლოგიის ლიდერი იყო, რომელიც ეროვნულ-განმანთავისუფლებელი იდეით სულდგმულობდა. ამ პერიოდიდან მოყოლებული ეროვნული იდენტობის კრიტერიუმები და ეროვნული იდეის განხორციელების საშუალებები პოლიტიკურ ძალთა მწვავე დისკუსიის საგანი იყო.

ეროვნული იდენტობა მხოლოდ კულტურულ ღირებულებებსა და იდეებზე აგებული კატეგორია არ არის და მას თავისი პოლიტიკური გაგება აქვს; ერი თავის იდენტობას მაშინ გაიაზრებს სრულყოფილად, როდესაც პოლიტიკურ სახეს იღებს და თავის პოლიტიკურ მეხსიერებას ერთიან სტრუქტურულ სივრცეში მოაქცევს; ასეთი პოლიტიკური სივრცე ინსტიტუციურად მოწყობილი პოლიტიკური ერია, რომელიც თავისი გამოკვეთილი სახელმწიფოებრიობის ნიშნებით ხასიათდება. ინსტიტუციური და ღირებულებითი პო-ლიტიკური წესრიგი იდენტობის სრულყოფილ გაგებას ემსახურება, რომელიც სახელმწიფოებრიობის მნიშვნელობის გააზრებაში *გამოიხატება. ენტონი დ. სმითი* მიიჩნევს, რომ *„პოლიტიკური თვალსაზრისით, ნა-ციონალური იდენტობა ფუძეს უმაგრებს სახელმწიფოსა და მის ორგანოებს, ან მის წინაპოლიტიკურ ეკვივალენტებს ნაციებში, რომელთაც არა აქვთ სახელმწიფოებრიობა... ნაციონალური იდენტობის ყველაზე არსებითი ფუნქცია არის იმ საერთო კანონიერ უფლება-მოვალეობათა ლეგიტიმაცია, რომლებიც ნაციის სპეციფიკურ ღირებულებებს, ხასიათს განსაზღვრავენ და საუკუნოვან წეს-ჩვეულებებს გამოხატავენ. დღეს სოციალური წესრიგისა და სოლიდარობის დასამყარებლად ნაციონალური იდენტობის მოშველიება აუცილებელ პირობად იქცევა"*(სმითი, 2008: 20).

ეროვნული და სახელმწიფოებრივი იდენტობის გაგება პოლიტიკური ტრანზიციის ერთიანი პროცესია და ცნებითი მნიშვნელობით ერთმანეთს ავსებენ; ეროვნული იდენტობა თავის სრულყოფას სახელმწიფოებრივ სივრცეში აღწევს და მის შინაარსს პოლიტიკურ განზომილებას ანიჭებს; ამ გაგებით, სახელმწიფოებრივი იდენტობა ერის სამოქალაქო და პოლიტიკური კულტუ-

რის მაჩვენებელია და ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლების პრინციპებით განისაზღვრება, რომელიც დემოკრატიის სტაბილურობას განსაზღვრავს. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ეროვნული იდენტობის ასეთი გააზრება ყოველთვის რაციონალურად არ მიმდინარეობს და პოლარიზების ელემენტებს მოიცავს, რომელიც ეროვნული ნიჰილიზმისა და სახელმწიფოებრივი გაუცხოების მიზეზი ხდება. ტრანსპლანტაციური პროცესების გაძლიერების ფონზე ქართველი ერი თავის თვითმყოფადობის მენტალურ თვისებებს თანდათანობით კარგავს და საკუთარ ტრადიციულ და გენეტიკურ ღირებულებებს უპირისპირდება.

ეროვნული იდენტობა ერის სახეა, რომელშიც მისი კულტურული, სამოქალაქო, ტოლერანტული და ა.შ. ნიშნები აისახება. ქართული ფენომენი იმპერიულ სივრცეში სათანადოდ არ იყო შემეცნებული, რომელიც არსებული იდეოლოგიური კონტროლითაც იყო განპირებებული. ქართული იდენტობა და მისი ცივილიზაციური როლი და დანიშნულება სათანადოდ არ არის შესწავლილი. ქართული ფენომენი ეს მსოფლიოს განსაკუთრებული ცივილიზაციური განზომილებაა, რომელსაც უფრო მეტი სივრცითი გაგება აქვს, ვიდრე ახლა წარმოგვიდგენენ. ქართველობის ცივილიზაციური როლი თავისი ისტორიით, სამეურნეო ცხოვრებით, წარსულის ტრადიციებით, კულტურითა და ენით ძალიან მნიშვნელოვანია. პოლიტიკური სივრცის ტრანზიციის თავისებურებებიდან გამომდინარე, თანამედროვე ქართული ეროვნულ-პოლიტიკური იდენტობის მკვეთრად გამოხატული ორი ირაციონალური ტენდენცია გამოიკვეთა: *პირველი,* მკვეთრად იცვლება მსოფლიო წესრიგი, რომელსაც თან ახლავს გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციები და პოლიტიკურ ძალთა ახალი ბალანსის ფორმირება; ტრანსფორმირდება მეზობელ სახელმწიფოთა საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტები და სახელმწიფოებრივი იდენტობის კრიტერიუმები, რომლებიც ზოგჯერ მკვეთრად გამოხატულ აგრესიულ ფორმებს იძენენ; საგარეოპოლიტიკური ექსტრემალური სიტუაცია ქართული სახელმწიფოს წინაშე წარმოშობს ახალ გამოწვევებსა და რისკებს, რომელთა გადასაწყვეტად პოლიტიკური აქტორები მზად არ აღმოჩნდნენ; გლობალურმა სიტუაციამ ეროვნული იდენტობის ახლებური გაგება მოითხოვა, რაც მკვეთრად გამოხატულ ეროვნულ-პატრიოტულ და ინტელექტუალურ აქტორებს დაემყარება. *მეორე,* დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მშენებლობა მენტალურად რთული აღმოჩნდა, რამაც ეროვნული იდენტობის პროცესის პოლიტიკური ინტეგრაცია ვერ შეძლო; პოლიტიკური სივრცე ღრმა ინსტიტუციურ და ღირებულებით კრიზისში მოექცა, რამაც პოლიტიკური

პოლარიზების ფორმები მიიღო; მოიმატა ეროვნული და სახელმწიფოებრივი გაუცხოების ელემენტებმა, რომლებმაც ეროვნული იდეის ერთგვარი დათრგუნვა გამოიწვია. პოლიტიკური ტრანზიციის ეს ორი ირაციონალური ტენდენცია ეროვნული იდენტობის მკვეთრ რეკონსტრუქციას მოითხოვს, რომლითვისაც გარკვეული პოლიტიკური აქტორები მზად არ არიან (აბესაძე, 2019: 9).

პოლიტიკური იდენტობის ფორმირების უმნიშვნელოვანეს პარადიგმა ქართული პოლიტიკური ერის ფორმირება წარმოადგენს. ეს არის პოლიტიკური მეობის კრიტერიუმებით შექმნილი და შეკავშირებული ერთობა, რომელსაც გააზრებული აქვს თავისი პოლიტიკურ-ისტორიული მისია და უმკლავდება პოლიტიკური დროის გამოწვევებს. პოლიტიკური ერი სამოქალაქო კულტურულ-ღირებულებით მაღალ დონეს ემყარება და პოლიტიკურ სივრცეში სტაბილური დემოკრატიულობით გამოირჩევა. ქართველი ერი ჯერჯერობით ვერ ამაღლდა პოლიტიკური ერის გაგებამდე, რადგანაც ეროვნული მეობის გააზრების კულტურა ძალიან დაბალია (აბესაძე, 2020: 100-102).

თანამედროვე ქართული პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმირება რთული ამოცანების გადაწყვეტას მოითხოვს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ქართველი ერი ჯერჯერობით სახელმწიფოებრივი ერი არ არის; ე.ი. პოლიტიკური ინსტიტუციური განზომილება მას არასაკმარი აქვს და ვერ გამოკვეთს თავისი ეროვნული იდენტობის პრიორიტეტებს. რეალობა ისეთია, რომ გაუცხოების ელემენტები ძლიერდება, რომელიც ერს უპერსპექტივობის სინდრომს უქმნის. ამიტომ, პროცესების რაციონალიზაციის უპირველესი პარადიგმაა პოლიტიკური ერის ფორმირება, რომელიც თანამედროვე ქართული იდენტობის ახლებურად გააზრების საფუძველია.

პოლიტიკური ერი სახელმწიფოებრივი თვითდამკვიდრებისა და სტაბილური პოლიტიკური სივრცის ფორმირების უმნიშვნელოვანესი პირობაა. ერი პოლიტიკურ თვითმყოფად განვითარებასა და სრულოფილ ინტეგრაციას პოლიტიკურ სივრცეში აღწევს, რომლის ინსტიტუციური და ღირებულებითი გამოხატულებაა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ეროვნული პოლიტიკური იდენტობის გააზრება. პოლიტიკური ერის უპირველესი ნიშანია პოლიტიკური ინტეგრაციის მაღალი დონე და პოლიტიკური საზოგადოების არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს დემოკრატიის სტაბილურ ფუნქციონირებას; მას ახასიათებს სამოქალაქო კულტურის რაციონალურ-აქტივისტური ფორმები, რომლებიც სოციუმის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრაგმატულობაში გამოვლინდება.

პოლიტიკური ერის ფორმირების ერთ-ერთი უპირველესი ფაქტორია ეროვნული პოლიტიკური ცნობიერების ფორმირება, რომელშიც თითოეული ერის გენეტიკური და ,,ისტორიის ერთობით" თანაცხოვრების ფორმები, ღირებულებითი და ინტელექტუალურ-კულტურული თვითდამკვიდრების პრიორიტეტები აისახება. ერის პოლიტიკური ინტერესები, სასიცოცხლო ღირებულებითი პრიორიტეტები, ისტორიული თანაცხოვრების ფორმები და გენეტიკური ტრადიციები ეროვნულ ცნობიერებაში აისახება და თვითდამკვიდრების პროცესში თანდათანობით გამოვლინდება. ეროვნულ პოლიტიკურ ცნობიერებაში ერის პოლიტიკურ ინტერესები და მიზნები აისახება, რომლებიც ეროვნული პოლიტიკური იდეოლოგიის სახეს იღებს; ეროვნულ პოლიტიკურ იდეოლოგიაში ერის თვითმყოფადი განვითარების იდეები, კონცეფციები, პარადიგმები და მოდელებია გადმოცემული. პოლიტიკური ერის ფორმირების პროცესი მყარი იდეოლოგიური საფუძვლების შექმნასთან არის დაკავშირებული, რომელსაც ეროვნული პოლიტიკურ-ღირებულებითი და კულტურულ-ინტელექტუალური სივრცე ქმნის.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური ერის ფორმირების უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, რომელმაც ერს თავისი როლისა და განზომილების გააზრების საშუალება მისცა. პოლიტიკური ტრანზიციის ეს პერიოდი უაღრესად რთული და წინააღმდეგობრივი მოვლენებით აღსავსე აღმოჩნდა.. ჯერ კიდევ, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი *მერაბ მამარდაშვილი აღნიშნავდა: ,,სანამ დამოუკიდებელნი არ ვიქნებით, ვერ გავერკვევით, სინამდვილეში რა ვართ, რა შეგვიძლია, რას ვგრძნობთ და რას ვფიქრობთ. დამოუკიდებლობა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ჯანსაღი მოქალაქეობრივი აზროვნების პირობაა" (მამარდაშვილი, 1992: 10).*

სახელმწიფოებრიობა პოლიტიკური ერის ფორმირების ძირითადი ინსტიტუციური და კულტურულ-ღირებულებითი პირობაა, მაგრამ, თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრივი ცნობიერება ჩამორჩება პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესების მოთხოვნებს; ქართული სახელმწიფო პოლიტიკური ინტეგრაციის მაღალ დონეს უნდა ემყარებოდეს. სამწუხაროდ, ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმისაგან მიღებულმა მემკვიდრეობამ მძიმე კვალი დაამჩნია ქართულ სახელმწიფოებრივ ცნობიერებას. დამკვიდრდა ე.წ. ,,მტრის ხატი"-სა და ,,კლასობრივი მტრის" სინდრომი, რომელიც არა მხოლოდ სოციუმში, არამედ პოლიტიკურ ელიტაშიც გამოვლინდება და პერმანენტული პროცესის ხასიათს იძენს. განსაკუთრებით, პოლიტიკური ინტე-

გრაციის პროცესს აფერხებს საზოგადოების პოლარიზების გაღრმავება, რასაც პოლიტიკური ძალების ნაწილი ახდენს. ინტეგრაციის გარეშე პოლიტიკური ერი ვერ უზრუნველყოფს თავისი მისიის შესრულებას და უცხო ძალების მოსამსახურე ერად იქცევა. ეს საფრთხე უკვე რეალურად ჩანს, რომელიც პოლიტიკური იდენტობის ფორმებს უკარგავს ქართველობას.

პოლიტიკურმა ელიტამ უნდა შეძლოს პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებული ტემპით შემობრუნება, რომელიც უნდა ემყარებოდეს ეროვნულ ინტელექტუალურ და პროფესიონალ ავტორიტეტებს. შესამჩნევია, რომ ხელისუფლება ინტელექტუალური პოტენციალის დეფიციტს განიცდის, რაც საზოგადოების პოლარიზების მიზეზი ხდება; ინტელექტეტან გაუცხოება ცსოციუმის დამახასიატებელი ნიშანიც გახდა, რომელმაც ინტელექტუალური ნიჰილიზმი დაამკვიდრა პოლიტიკურ სივრცეში. ერი თანდათან კარგავს ინტელექტუალურ ელიტასა და თვითაზროვნების კულტურულ პოტენციალს, რაც ეროვნული პოლტიკური იდენტობის გაგების დეგრადაციას იწვევს. ამ პროცესებს თან ახლავს პოლარიზაციის გაღრმავება საზოგადოებასა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის. პროფ. *სტივენ ჯონსი* აღნიშნავს, რომ *,,მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა დამოუკიდებლად ვითარდება და საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა, ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაში ფუნდამენტური ცვლილებები არ შეინიშნება. ხალხი საკუთარ თავს სახელმწიფოსთან სრულად ვერ აკავშირებს... ნდობის მხრივ, ზუსტად საწინააღმდეგო ვითარებაა ეკლესიის მიმართ, რომელიც არ წარმოადგენს სახელმწიფო ინსტიტუტს, მაგრამ ხალხის რწმენა მის მიმართ გამოკვეთილად მაალია“ (ჯონსი, 2012).*

პოლიტიკური ინსტიტუციური და ღირებულებითი წესრიგი და სტაბილურობა სახელმწიფოებრივი ერის ერთ-ერთი ნიშანია, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკური ერის თვითრეალიზაციის ფორმებს. თანამედროვე ქართული პოლიტიკური ერი ფორმირების პროცესშია, რაც გარკვეულ პოლიტიკურ წესრიგს ემყარება; ეს წესრიგი კი ინსტიტუციურად არამდგრადია და მოსალოდნელი არასტაბილურობის ელემენტებს ყოველთვის მოიცავს; სამწუხაროდ, პოლიტიკური სისტემა, რომელიც ინსტიტუციურად და კულტურულ-იდეოლოგიურად სუსტია, პოლიტიკური გაუცხოების პერმანენტულ საშიშროებას განაპირობებს; ასეთი არასტაბილურობის საშიშროების სინდრომი თანამედროვე პოლიტიკური ერის ფორმირებას ხელს უშლის და აფერხებს სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესს.

პოლიტიკური ერის ფორმირების ერთ-ერთი არსებითი ნიშანია პოლიტიკური საზოგადოების არსებობა, რომელიც ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ძალზე სუსტია. პოლიტიკური საზოგადოება - ეს არის ინსტიტუციურად მდგრადი და სახელმწიფოებრივად ინტეგრირებულ ადამიანთა ერთობა, რომელიც თავის პოლიტიკურ მისწრაფებებს რაციონალურობასა და პრაგმატიზმზე აგებს და პოლტიკური დემოკრატიის ძირითად პრინციპად პლურალიზმი მიაჩნია. პოლიტიკური საზოგადოების ფორმირება პოლიტიკური თანაცხოვრების ხანგრძლივ პერიოდს საჭიროებს და ერის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი თანაცხოვრების დიდ გამოცდილებას ეფუძნება. ქართულ სინამდვილეში მისი სისუსტე გამოვლინდება ირაციონალურობასა და პოლარიზებაში, რომელიც ყველა რეჟიმის მუდმივი სინდრომია. კლანური პოლარიზება ანგრევს პოლიტიკურ საზოგადოებას და ამკვიდრებს ფასადურობასა და იმიტაციურ პროცესებს.

შეიძლება ვთქვათ, რომ პოლიტიკური ერი წარმოადგენს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მქონე ერთობას, რომელსაც ახასიათებს პოლიტიკური საზოგადოებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითშეგნების მაღალი დონე და პოლიტიკური კულტურის რაციონალურ-აქტივისტური ფორმები: პოლიტიკური ერი სამოქალაქო რაციონალურობის მქონე პოლიტიკურ-კულტურული გაერთიანებაა, რომელიც ფართოდ იყენებს პოლიტიკური ინტეგრაციის მდგრად ინსტიტუციურ ფორმებს და უზრუნველყოფს ლეგიტიმურ პოლიტიკურ წესრიგსა და დემოკრატიის სტაბილურ ფუნქციონირებას პოლიტიკურ სივრცეში (აბესაძე 2015: 384-385).

პოლიტიკური ერის ფორმირებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რელიგიურ ფაქტორს, რომელიც პოლიტიკური კონსოლიდაციისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების ფორმირების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. თანამედროვე ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმირებაში თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს ეკლესიას, რომელიც ისტორიულად ყოველთვის ქმნიდა ერის პოლიტიკურ-ღირებულებითი სრულყოფილების ელემენტებს, ხელს უწყობდა ეროვნულ კონსოლიდაციასა და პატრიოტული სულისკვეთების ფორმირებას. ქრისტიანობა ქართველობისა და მისი პოლიტიკური განზომილების - სახელმწიფოებრიობის განმსაზღვრელი იდეოლოგიური ფორმულა იყო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი *ილია II* აღნიშნავს, რომ *„...ქრისტიანობამ ერებსა და ხალხებს თავისუფალი განვითარებისათვის საცარი მუხტი მისცა და მნიშვნელოვანწილად განაპირობა დამოუკიდებელი ეროვნული კულტურების ჩამოყალიბე-*

ბა. საქართველოშიც ქრისტიანობამ ხელი შეუწყო ჩვენი ხალხის ერთიან ერად ფორმირების მრავალსაუკუნოვანი პროცესის დასრულებას და ჭეშმარიტი თავისუფლებისა და თვითმყოფადობისათვის ზრუნვის სრულიად ახალ ეტაპზე გადასვლას. შედეგი ამისა იყო ის, რომ ჩვენთვის ქრისტიანობის დაცვა სამშობლოსა და ჭეშმარიტი თავისუფლების დაცვად იქცა" (ილია II, 2010: 12).

თანამედროვე მსოფლიო წესრიგი მკვეთრად ცვლის პოლიტიკური ერის თვითდამკვიდრების კრიტერიუმებსა და მიდგომებს. ახალი წესრიგის უპირველესი ნიშანი გახდა გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციები, რომელიც სამხრეთკავკასიურ რეგიონსაც შეეხო. ამასთან ერთად, იზრდება დიდი სახელმწიფოების გავლენის სფეროებისათვის ბრძოლა, რომელმაც წინა პლანზე სოციუმის მანიპულირების სხვადასხვა ფორმა და საშუალება წამოსწია; საერთაშორისო პოლიტიკაში განსაკუთრებით გააქტიურდა რელიგიური ფაქტორი, რომელიც ზეწოლის - ე.წ. ,,რბილი ძალის" ერთ-ერთი იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური ელემენტი გახდა. ასეთ სიტუაციაში, ქართული ეკლესიის როლი, გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, მკვეთრად იზრდება, რაც უაღრესად გაწონასწორებულ და დიალოგზე აგებულ ურთიერთობებს გულისხმობს. *ერთი მხრივ,* ტრანსპლანტაციური პროცესების გაძლიერებით, სახეზეა მართლმადიდებლური ღირებულებების წინააღმდეგ ბრძოლა და ეროვნული ღირებულებითი სივრცის უცხო ელემენტებით გაჯერება; *მეორე მხრივ,* თვით ქართული ეკლესიის დახმარებით მოხდეს ეროვნული ორიენტაციის შეცვლა და ზესახელმწიფოების მიერ გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევა.

საზოგადოების ღირებულებითი პრიორიტეტების შესაცვლელად და დასათრგუნად. ქართული ეკლესია მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე ღირებულებით ტრანსფორმაციებს თავისი რაციონალური და პრაგმატული მიდგომებით უმკლავდება და ღირსეულად იცავს ქართველი პოლიტიკური ერის ფორმირების ტრადიციულ გენეტიკურ-ღირებულებით ფორმებს. ტრადიციებს. ქართული იდენტობის პოლიტიკური ტრანსფორმაცია მკვეთრად გამოხატულ ეროვნულ მენტალურ და რელიგიურ ფაქტორებს უნდა ემყარებოდეს. ქართული ეკლესია არ იზიარებს ზედმეტ ტრანსპლანტაციურ ღირებულებით პროცესებს,რომლებიც უპირისპირდება ეროვნულ-პოლიტიკურ თვითმყოფადობას. ქართველი პოლიტიკური ერი ეროვნული თვითმყოფადობის საფუძველზე გამოხატავს თავის პოლიტიკურ-აქტორულ პოზიციასა და ფუნქციურ თავისთავადობას მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეში. სრულიად

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი *ილია II* მიუთითებს, რომ *„საქართველო თავისი განვითარების, კულტურით, ქრისტიანული ევროპის ნაწილია და ამიტომაც, მისკენ ლტოლვა ჩვენს ხალხში ნამდვილად არის. მაგრამ, ამ და ზემოთ აღნიშნულ ფუნდამენტალურ საკითხებთან მიმართებაში, ევროგაერთიანებამ, ევროპარლამენტმა უნდა გაითვალისწინონ ცალკეული ქვეყნების ტრადიცია და აზროვნების წესი და მისცენ მათ საშუალება თავისუფალი არჩევანისა, რათა ადგილობრივმა მოსახლეობამ გულწრფელად მოინდომოს თანამედროვე ევროპულ კულტურასთან დაკავშირება"* (ილია II, 2014: 9).

ამრიგად, თანამედროვე ქართული იდენტობა, პოლიტიკური ტრანზიციის შესაბამისად, გარკველ ტრანსფორმაციას განიცდის; დემოკრატიული ტრანზიტის პირობებში ირაციონალური ტენდენციები გავლენას ახდენს ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესზე, რომელიც ინსტიტუციურ და პოლიტიკურ-ღირებულებით გარდაქმნებს აფერხებს; ეროვნული იდენტობის განვითარების უმაღლესი საფეხურია პოლიტიკური იდენტობა, რომელიც სახელმწიფოებრიობის თვითდამკვიდრების უპირველეს პარადიგმას წარმოადგენს. ქართული ეროვნული იდენტობის რეინტერპრეტაცია და ერთიან კონსოლიდირებულ სივრცედ ფორმირება პოლიტიკური ტრანზიციის ძირითადი ღირებულებითი პრიორიტეტია. სახელმწიფოებრიობა ეროვნულ იდენტობას პოლიტიკურ ფორმას აძლევს, რომელიც თანამედროვე ქართველი პოლიტიკური ერის ფორმირების აუცილებელი წინაპირობაა. პოლიტიკური ერი - ეს არის სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და რაციონალურ-აქტივისტური პოლიტიკური კულტურის მქონე გაერთიანება, რომელსაც თავისი მკვეთრად გამოხატული ეროვნულ-პოლიტიკური მეობა აქვს. ეროვნული იდენტობისა და პოლიტიკური ერის ფორმირების პროცესში, ინსტიტუციურ აქტორებთან ერთად, მნიშვნელოვან როლს მართლმადიდებელი ეკლესია ასრულებს, რომლის ფუნქციები ქართული პოლიტიკური სივრცის პოლარიზების პირობებში კიდევ უფრო იზრდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბესაძე (2015) გ. აბესაძე. პოლიტიკური კულტურა: კონცეპტუალური მოდელები და დემოკრატიული ტრანზიციის პარადიგმები. „უნივერსალი", თბილისი;

აბესაძე (2019) ნ. აბესაძე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი პოლიტიკური იდენტობის ფორმირების პროცესში. ჟ. „რელიგია", 2;

აბესაძე (2020) ნ. აბესაძე. მართლმადიდებელი ეკლესია და თანამედროვე ქართული ეროვნული-პოლიტიკური იდენტობა. ,,ფილოსოფიური ძიებანი“ /კრებული ოცდამეოთხე/. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. ,,უნივერსალი“, თბილისი; გვ. 237-249

ილია II (2007) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II სააღდგომო ეპისტოლე. თბილისი; http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/saagdgomo2010.htm

ილია II (2014) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II -ის საშობაო ეპისტოლე. თბილისი;

მამარდაშვილი (1992) მ. მამარდაშვილი. საუბრები ფილოსოფიაზე. ,,მეცნიერება", თბილისი;

სმითი (2004) ენტონი დ. სმიტი. ნაციონალიზმი: თეორია. იდეოლოგია, ისტორია. თარგმნა მარიამ ჩხარტიშვილმა. თბილისი;

სმითი, 2008: ენტონი დ. სმითი. ნაციონალური იდენტობა. L ლოგოს პრესი, თბილისi;

ჭავჭავაძე (1987) ილია ჭავჭავაძე. რა გითრათ? რით გაგახაროთ? რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. IV. თბილისი;

ჯონსი (2012) სტივენ ჯონსი. საქართველოს მოსახლეობა სახელმწიფოს არ ენდობა. https://www.amerikiskhma.com/a/interview-stephen-jones-13-7618598/537977.html

.